## რა ხდება მას შემდეგ რაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა “ხელისუფლების ბოროტად გამოყენება” ოპოზიციის წამყვანი პოლიტიკოსის მიმართ?

**გამოქვეყნდა 2018 წლის 21 თებერვალს**



ივანე მერაბიშვილი მისი საქმის წინასწარი მოსმენის დროს (როიტერის ფოტო)

2013 წლის დეკემბრის ღამის წყვდიადში, ივანე მერაბიშვილი ძალის გამოყენებით გამოყვანილი იქნა თავისი საპატიმრო საკნიდან. ის წაყვანილი იქნა საქართველოს ძალისმიერი ორგანოების ორი უმაღლესი ოფიციალური პირის წინაშე. საქართველოს მთავარი პროკურორი და საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი შეეცადნენ შანტაჟის გამოყენებით საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისაგან გამოეძალათ ინფორმაცია ორი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შესახებ (რომლებიც ივანე მერაბიშვილის თანაპარტიელები იყვნენ და რომელთაგანაც ერთ-ერთი ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა). გასულ ნოემბერში (2017) ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ბატონი მერაბიშვილის დაკავება პოლიტიკური მოტივის საფუძველზე მოხდა, განსაკუთრებით ამ ინციდენტის გათვალისწინებით. რა უნდა მოხდეს ახლა, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის შემდეგ?

ევროპულ სასამართლოში ბატონ მერაბიშვილს ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრი და ქართველი ადვოკატი ოთო კახიძე წარადგენენ. 2018 წლის იანვარში ადამიანთა უფლებების ევროპულმა საადვოკატო ცენტრმა წერილით მიმართა ევროპულ მინისტრთა საბჭოს - ორგანოს, რომელიც მონიტორინგს უწევს წევრ სახელმწიფოთა მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას. ამ წერილში ჩვენ მივუთითებთ იმ მომდევნო ნაბიჯების შესახებ, რაც უნდა გადაიდგას ბატონი მერაბიშვილის საქმეში. ჩვენ მოვითხოვეთ რომ საბჭომ მოუწოდოს საქართველოს ხელისუფლებას:

- ჩაატაროს ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიება 2013 წლის დეკემბრის მოვლენების შესახებ, რაც გამოიხატა ბატონი მერაბიშვილის თავისი საკნიდან ფარულად გამოყვანის ფაქტში. (საქართველოს პარლამენტის წამყვანი პოლიტიკოსები ამ მოთხოვნას განიხილავენ როგორც პირველი მნიშვნელობის ნაბიჯს);
- ხელახლა გაიხსნას საქმე ბატონი მერაბიშვილის მიმართ. ეს პროცესი შესაძლებელს გახდის მისი სასჯელის ბათილად ცნობას;
- საქმის ხელახალი გახსნის შემდეგ, განხილვის პროცესის დასრულებამდე, მის გათავისუფლებას.

[ჩვენს მიმართვას შეგიძლიათ გაეცნოთ აქ.]

## რას ეხება ეს საქმე

ბატონი მერაბიშვილი დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული იქნა 2013 წლის მაისში. 2013 წლის დეკემბერში, ღამის საათებში, ის გაიყვანეს თბილისის ციხის საკნიდან, თავზე რაღაც მოახვიეს რომ არ დაენახა სად მიყავდათ და მანქანით გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ადგილზე მისვლისას ის დაკითხული იქნა საქართველოს მთავარი პროკურორისა და საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიერ. მათ ბატონ მერაბიშვილს შესთავაზეს შემდეგი გარიგება: მას უნდა მიეცა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესახებ, ასევე ითხოვდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში დაიღუპა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. ამ ინფორმაციის სანაცვლოდ ისინი პირდებოდნენ ბატონ მერაბიშვილს გათავისუფლებას და აძლევდნენ გარანტიას, რომ შესაძლებლობა მიეცემოდა თავის ოჯახთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. მან ამ გარიგებაზე უარი განაცხადა. მას დაემუქრნენ, რომ მისი პატიმრობის პირობები გაუარესდებოდა. ამის შემდეგ მოკლე ხანში ის პასუხისგებაში მიეცა და მიესაჯა ხუთი წლით პატიმრობა.

2017 წლის ნოემბერში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებები ბატონი მერაბიშვილის მიმართ თავდაპირველად დასაბუთებული იყო, 2013 წლის დეკემბრის ინციდენტი მიუთითებს, რომ მისი სასამართლომდელი დაკავება გამოყენებული იქნა სხვა მიზნისთვის, რაც დაპატიმრების მითითებულ მიზეზებში არ იყო ნახსენები. ამით დაირღვა ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი (ECHR). მისი დაკავება

გამართლებული არ იყო, და გამოყენებული იქნა მასზე ზეწოლის მოსახდენად, რითაც დაირღვა ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, რომლის განხილვის საგანი და მიზანია *"ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთა"*. გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ დიდმა პალატამ ირწმუნა და მხედველობაში მიიღო ბატონი მერაბიშვილის მონათხრობი იმის შესახებ თუ რა მოხდა 2013 წლის 14 დეკემბრის ღამეს, როცა ის თავისი საკნიდან ძალის გამოყენებით გამოათრიეს. ეს ფაქტი საქართველოს მთავრობის მიერ ცალსახად იქნა უარყოფილი.

## გაიგე უფრო მეტი

*ამ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ორჯერ იქნა მიღებული - ბატონმა მერაბიშვილმა ორივე საქმე მოიგო. პირველი პრეცედენტული გადაწყვეტილებისა და მისი გავლენის შესახებ, ასევე დიდი პალატის მეორე გადაწყვეტილების შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენი ადრეული ინფორმაცია ამ საქმის შესახებ. ასევე ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ საქმის ანალიზი* OC Media *და* Open Democracy *ვებგვერდებზე. რითგაამართლა თავისი ქმედებები საქართველოს ხელისუფლებამ? შეგიძლიათ ნახოთ ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მოსმენა* (2017 *წლის მარტი*) *და წაიკითხოთ იმის შესახებ თუ რას მოვითხოვთ.*

*დამატებითი ინფორმაციისათვის ნახეთ ასევე "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" მიერ გამოქვეყნებული ანგარიში სათაურით "პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში", სადაც წარმოდგენილია ბატონი მერაბიშვილის საქმის დეტალური ანალიზი. მსგავსი ტიპის საქმეში ჩვენ ასევე წარმოვადგენთ თბილისის ყოფილ მერს, გიორგი უგულავას.*

*პოლიტიკურად მოტივირებული პროცედურები ასევე სისტემატური პრობლემაა აზერბაიჯანსა და რუსეთში, განსაკუთრებით ადამიანთა უფლებების დამცველი ადვოკატების, დამცველებისა და მედია საშუალებების მიმართ. ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრი ასევე წარმოადგენს რასულ ჯაფაროვს, რომლის დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა 2016 წლის მარტში დადგინდა როგორც პოლიტიკურად მოტივირებული. ევროპული კომისიის საბჭომ ამ რამდენიმე ხნის წინათ მოუწოდა აზერბაიჯანის მთავრობას ხელახლა გამოიძიოს მისი საქმე, რომელიც "პოლიტიკური დევნის" შედეგია.*